პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 28-ე წელი

პარასკევი, 19 მარტი, 1948 წ. № 56 (8100). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

დიად სამუშაოთა სტალინური გეგმა ხორციელდება—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ნ. მ. შვერნიკმა მიიღო ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).
დარბაზობა ვ. მ. მოლოტოვთან ბულგარეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად (1-ლი გვერდი).
იზრდება დემოკრატიის ძალები (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
დავეუფლოთ პოლიტიკური ხელმძღვანელობის ოსტატობას—„პრავდის" 18/III მოწინავე (მე-2 გვერდი).
გადაჭრით გავაუმჯობესოთ სოფლისა და ქალაქის მოსახლეობისთვის კოოპერაციული მომსახურება (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მშენებლობა (მე-3 გვერდი).
ლეო ქიაჩელი — ჯოტოს მამა (მე-3 და მე-4 გვერდი).
რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების წინადადებათა შემოწმების ორთვიური (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-3 და მე-4 გვერდი).

დიად სამუშაოთა სტალინური გეგმა ხორციელდება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ ორი წლის წინათ, 1946 წლის 18 მარტს, მიიღო კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამ გეგმის ძირითადი ამოცანები გენიალურად განსაზღვრა ხალხთა ბელადმა დიდმა სტალინმა მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს. „ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები,—სთქვა ამხანაგმა სტალინმა,—ის არის, რომ აღდგენილ იქნას ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღდგენილ იქნას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით".

ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა მიიღეს როგორც საბრძოლო პროგრამა. მთელი საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ერთსულოვნად დაირაზმა მისი განხორციელებისათვის და განვლილი ორი წლის მანძილზე თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა. ვადამდე და გადაჭარბებით არის შესრულებული სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ორი წლის გეგმა. მარტო 1947 წელს, 1946 წელთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გადიდდა 22 პროცენტით, ხოლო მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის პროდუქციისა — 33 პროცენტით. სოციალისტურმა მრეწველობამ ჯერ კიდევ გასული წლის მეოთხე კვარტალში მიაღწია ომამდელ დონეს. ორი წლის მანძილზე აღდგენილი და ამუშავებულია 1900-მდე სამრეწველო საწარმო.

წლითიწლობით დიდდება რკინიგზის, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა, უმჯობესდება მგზავრთა მომსახურება.

1946 წლის დიდი გვალვების მიუხედავად, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად შარშან შესანიშნავი წარმატება მოიპოვა ჩვენმა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ. 1946 წელთან შედარებით, 1947 წელს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 32 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მარცვლეული კულტურების პროდუქცია—58 პროცენტით.

ამ წარმატებებმა უზრუნველჰყო გასული წლის დეკემბერში ფულის რეფორმის განხორციელება, საბარათო სისტემის გაუქმება და ფართოდ გაშლილ საბჭოთა კულტურულ ვაჭრობაზე გადასვლა, რამაც დიდად აამაღლა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებით მარტო მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის მშრომელები 57 მილიარდ მანეთზე მეტ სარგებელს ნახავენ. ამასთან შრომის ნაყოფიერების გადიდებით და წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებით განუხრელად მატულობს მუშათა ხელფასი.

ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა გრანდიოზულ ამოცანებს სახავს საქართველოს სსრ რესპუბლიკის წინაშე. კაპიტალურ მშენებლობას მოხმარდება 4.120 მილიონი მანეთი. ჩვენს რესპუბლიკაში პირველად იქმნება მეტალურგიული და საავტომობილო მრეწველობა. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა წელს უკვე მოგვცემს ქართულ ფოლადს. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა სრული სიმძლავრით მუშაობისას ყოველწლიურად გამოუშვებს 30 ათას სატვირთო ავტომობილს. გრძელდება ხრამის, ჩითახევის, სოხუმის ჰიდროელსადგურების მშენებლობა. ერთისამად და კიდევ უფრო მეტად გადიდდება ქვანახშირის მოპოვება, რისთვისაც ტყიბულში, ტყვარჩელსა და ახალციხეში შენდება ახალი შახტები. ჩვენს მრეწველობას ამ ხუთწლედში შემატება გორის საფეიქრო კომბინატი, ქუთაისის სამთო-საშახტო მოწყობილობის ქარხანა, თბილისის ლოკომოტივ-სარემონტო და პლასტმასის ნაკეთობათა ქარხნები, ჭიათურის მარგანეცის გამამდიდრებელი ცენტრალური ფაბრიკა, სამგორის ველის საირიგაციო-ენერგეტიკული სისტემა, მსუბუქი, საფეიქრო, ადგილობრივი, საკვებოსნო და კვების მრეწველობის ათობით საწარმო. ამოშრობილ იქნება კოლხიდის ოცი ათასი ჰექტარი დაჭაობებული ფართობი.

საქართველოს მშრომელები, ისე როგორც ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ხალხები, მთელი ენერგიით იბრძვიან მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განხორციელებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ ლენინგრადელთა მიმართვის პასუხად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გასულ წელს დიდი წარმატება მოიპოვა. საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ დიდი ოქტომბრის XXX წლისთავისათვის გაანაღდა წლიური საწარმოო გეგმები. მთლიანად საქართველოს მრეწველობამ 110 პროცენტით შეასრულა 1947 წლის გეგმა და 1946 წელთან შედარებით 29,1 პროცენტით გაადიდა მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება. გადაჭარბებით შესრულდა ტვირთზიდვის დავალებანიც.

შარშან განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ჩვენმა სოფლის მეურნეობამ. თესვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებით, ნათესისა და ტექნიკური კულტურების გულდასმით დამუშავებით, მოსავლის უდანაკარგოდ აღებით მოწეულია როგორც მარცვლეული, ისე ტექნიკური კულტურების უხვი მოსავალი, გადაჭარბებით არის შესრულებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმები.

ჩვენი საკოლმეურნეო გლეხობის უდიდეს წარმატებათა მკაფიოდ დამადასტურებელია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი საქართველოს სოფლის მეურნეობის 250 მოწინავისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და 1222 კაცის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

დიდია განვლილ ორ წელიწადში მოპოვებული წარმატება, მაგრამ კიდევ უფრო დიდი და პასუხსაგებია მიმდინარე წელს ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ლენინგრადელთა პატრიოტული მიმართვის პასუხად ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება იკისრეს. 1948 წელი გადამწყვეტი წელიწადია ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად. ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალ მშენებლობათა კოლექტივებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობა უნდა წარმართონ იმგვარად, რომ თვითეული საწარმო, თვითეული მშენებლობა და სატრანსპორტო უბანი გეგმას ასრულებდეს ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელების შესაბამისად.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ მიმდინარე წლის გასული თვეების მუშაობის შედეგებს, დავინახავთ, რომ ყველა საწარმოსა და მშენებლობაზე როდია დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. თბილისის მრეწველობამ იანვრის გეგმა ვერ შეასრულა. თუმცა მან საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა თებერვალში, მაგრამ უფრო მაღალი ტემპია საჭირო ხუთწლედის 4 წელიწადში შესასრულებლად. იგივე შეიძლება ითქვას მთელ რიგ ახალ მშენებლობათა შესახებ. გეგმის რაოდენობრივ შესრულებასთან ერთად მუდამ უნდა გვახსოვდეს ნაწარმის ხარისხი და ასორტიმენტი. ეს განსაკუთრებით შეეხება ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელ საწარმოებს, რომელთა პროდუქციის ხარისხი ყოველთვის როდია დამაკმაყოფილებელი.

განსაკუთრებული ამოცანებია წელს დასახული ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის წინაშე. კოლმეურნე გლეხობამ, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა არა მარტო უნდა შეინარჩუნონ, არამედ კიდევ უფრო აამაღლონ გასულ წელს მოპოვებული წარმატებანი.

ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა, რომელიც თვითეულმა მშრომელმა მიიღო როგორც საბრძოლო პროგრამა, განვლილი ორი წლის მანძილზე წარმატებით ხორციელდებოდა. უფრო შევამჭიდროოთ რიგები, გავაძლიეროთ ბრძოლა ამ გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის!

ნ. მ. შვერნიკმა მიიღო ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია

17 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მ. შვერნიკმა კრემლში მიიღო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი გ. დიმიტროვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ვ. კოლაროვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ელექტროფიკაციისა და მელიორაციის მინისტრი ბ-ნი კ. გეორგიევი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი გ. პოპოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ტ. კოსტოვი, კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის მინისტრი ბ-ნი პ. კამენოვი, ვაჭრობისა და სურსათის მინისტრი ბ-ნი კ. დობრევი, დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრები ბ-ნი ა. მირჩევი და ბ-ნი რ. ანგელოვი. მიღებას დაესწრო აგრეთვე ბულგარეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი ნ. ნიკოლოვი.

საბჭოთა მხრივ მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი. (საკდესი).

დარბაზობა ვ. მ. მოლოტოვთან ბულგარეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

17 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა დარბაზობა გამართა ბულგარეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი გ. დიმიტროვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ვ. კოლაროვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ელექტროფიკაციისა და მელიორაციის მინისტრი ბ-ნი კ. გეორგიევი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ-ნი გ. პოპოვი და ბ-ნი ტ. კოსტოვი, ვაჭრობისა და სურსათის მინისტრი ბ-ნი კ. დობრევი და წევრები ბულგარეთის სავაჭრო დელეგაციისა, რომელსაც იგი მეთაურობს, კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის მინისტრი ბ-ნი პ. კამენოვი, სსრ კავშირში ბულგარეთის მისიის წევრები დესპანის ბ-ნ ნ. ნიკოლოვის მეთაურობით და მოსკოვში აკრედიტებულ უცხოეთის საელჩოთა და მისიათა მეთაურები.

დარბაზობას აგრეთვე დაესწრნენ მონღოლეთის სავაჭრო დელეგაციის მოსკოვში მყოფი წევრები პრემიერ-მინისტრის მოადგილის ბ-ნ ლუბსანის მეთაურობით, პოლონეთის სავაჭრო დელეგაციის წევრები მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს საგარეო ვაჭრობის სტატს-მდივნის ბ-ნ ლ. გროსფელდის მეთაურობით და შვეიცარიის სავაჭრო დელეგაციის წევრები ბ-ნ მ. ტრუნდლეს მეთაურობით.

საბჭოთა მხრივ დარბაზობას დაესწრნენ რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ი. როდიონოვი, სსრ კავშირის მინისტრები ს. ვ. კაფტანოვი, ი. გ. ბოლშაკოვი, დ. გ. ჟიმერინი, ე. ი. სმირნოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ა. ზორინი და ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის ელჩები ა. ე. ბოგომოლოვი, მ. ა. სილინი, ა. ი. ლავრენტიევი, ა. ა. ლავრიშჩევი, ავიაციის მარშალი კ. ა. ვერშინინი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები ა. დ. კრუტიკოვი, ი. ფ. სემიჩასტნოვი და მ. ნ. კუმიკინი, ტ. ა. სელივანოვი, ი. ა. პარფენოვი, ნ. გ. პალგუნოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები, ხელოვნების მოღვაწეები.

დარბაზობამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მოსკოვში ბულგარეთის დელეგაციის ყოფნის გამო

მოსკოვში მყოფნი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი გ. დიმიტროვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ვ. კოლაროვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ელექტროფიკაციისა და მელიორაციის მინისტრი ბ-ნი კ. გეორგიევი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი გ. პოპოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ტ. კოსტოვი, კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის მინისტრი ბ-ნი პ. კამენოვი, ვაჭრობისა და სურსათის მინისტრი ბ-ნი კ. დობრევი და სხვა ოფიციალური პირები გუშინ იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში.

გუშინვე ბულგარელმა სტუმრებმა რამდენიმე საათი მოანდომეს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის დარბაზების დათვალიერებას. იმ დარბაზის დათვალიერებისას, რომელშიც შეკრებილია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა გამოცემანი მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, ბულგარელმა სტუმრებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ აქ გამოფენილია დიდი ბელადის ნაწარმოებები, გამოცემული აგრეთვე ბულგარულ ენაზე.

დიდი ინტერესით გასინჯეს სტუმრებმა დოკუმენტალური ფილმი ლენინის შესახებ.

სტუმრებმა ინახულეს წითელი არმიის მუზეუმი, სადაც მათ უჩვენეს დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია. დელეგაციის წევრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ექსპონატები და დოკუმენტები სტალინგრადის დიადი ბრძოლების შესახებ, სურათები, რომლებიც გამოხატავენ სამამულო ომის გმირთა უკვდავ საგმირო საქმეებს.

საღამოს დელეგაცია იყო სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში, სადაც ნახა ბალეტი „ბახჩისარაის შადრევანი". (საკდესი).

იზრდება დემოკრატიის ძალები

სრულიად სლავთა კომიტეტის მე-3 პლენუმის შედეგები

საუბარი სსრ კავშირის სლავთა კომიტეტის თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტ ა. ს. გუნდოროვთან

პრაღიდან მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის სლავთა კომიტეტის დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სრულიად სლავთა კომიტეტის მე-3 პლენუმის მუშაობაში. დელეგაციის ხელმძღვანელმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. ს. გუნდოროვმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა სრულიად სლავთა კომიტეტის თავმჯდომარის იუგოსლავიის არმიის გენერალ-მაიორ ბოჟიდარ მასლარიჩის მოხსენება კომიტეტის საქმიანობის შესახებ. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის გარშემო მჭიდროდ დარაზმული სლავთა ქვეყნები მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის მოწინავე რაზმს წარმოადგენენ. ეს საერთაშორისო რეაქციის განსაკუთრებულ სიძულვილს იწვევს. საერთაშორისო რეაქცია არაფერს არ ერიდება, რომ ცილი დასწამოს სლავ ხალხებს და შეარყიოს მათი მეგობრობა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამხედროს ისინი.

სლავურმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს საზოგადოებრიობის დასარაზმავად და მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთების განსამტკიცებლად. კერძოდ, მოეწყო სლავური ქვეყნების ჟურნალისტთა თათბირი ზაგრებში. ამჟამად მჭიდრო კავშირი მყარდება სახალხო დემოკრატიის არასლავურ ქვეყნებთან — ალბანეთთან, უნგრეთთან, რუმინეთთან.

პლენუმმა გადასწყვიტა სრულიად სლავთა კომიტეტის მთელი ღონისძიებანი დაუქვემდებაროს მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლას, სლავ და სხვა ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

მიღებულია გადაწყვეტილება — განმტკიცდეს კავშირი არასლავური ქვეყნების დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, აგრეთვე გაფართოვდეს მთელი მსოფლიოს პროგრესული ელემენტების კულტურული თანამშრომლობა.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სლავთმცოდნე მეცნიერთა კონგრესისათვის მომზადების საკითხი; კონგრესი განზრახულია მოწვეულ იქნას მოსკოვში აპრილის მეორე ნახევარში.

პლენუმზე საბოლოოდ დაზუსტდა სლავთმცოდნე მეცნიერთა კონგრესის პროგრამა და კონგრესის მონაწილეთა შემადგენლობა. მოხსენებებს წაიკითხავენ: სერბიისაგან — მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ბელიჩი, პოლონეთისაგან — აკადემიკოსი ლერ-სპლავინსკი, ჩეხოსლოვაკიისაგან — მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ზდენეკ ნეედლი, ბულგარეთისაგან — მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ტოდორ პავლოვი, აგრეთვე საბჭოთა მეცნიერები — აკადემიკოსები ბ. დ. გრეკოვი, ნ. ს. დერჟავინი, ე. ვ. ტარლე, ი. ი. მეშჩანინოვი. სულ მოსმენილ იქნება 80-ზე მეტი მოხსენება.

პლენუმმა გადასწყვიტა ამა წლის ოქტომბერში პრაღაში მოწვეულ იქნას სრულიად სლავთა მეორე კონგრესი.

პლენუმის მუშაობა დაემთხვა ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ცხოვრების ისტორიულ ამბებს, რომლებიც მოჰყვა რეაქციის უხეშ ცდებს — გამოეწვია მთავრობის კრიზისი და მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება. რეაქციონერები ცდილობდნენ აღმოეფხვრათ ჩეხოსლოვაკიის ხალხთა დემოკრატიული მონაპოვარნი და ჩეხოსლოვაკია გაეხადათ რეაქციის პლაცდარმად ევროპის ცენტრში — სწორედ ისე, როგორიც საბერძნეთია ბალკანეთში. მაგრამ მათი ცდები სრული მარცხით დამთავრდა.

დასავლეთის რეაქციულმა პრესამ აურზაური ასტეხა ამ ამბების გარშემო, გამოაქვეყნა ცნობები რაღაც გათიშვისა და რაღაც ძალადობის შესახებ, რაც თითქოს ჩეხოსლოვაკიაში მომხდარიყოს. ყოველივე ეს უტიფარი სიცრუეა. ამ დღეებში პრაღაში და ჩეხოსლოვაკიის სხვა ქალაქებში ჩვენ ვხედავდით ხალხმრავალ მანიფესტაციებსა და მიტინგებს, გლეხთა სამოქმედო კომიტეტების გრანდიოზულ ყრილობას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მთელი ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსულმა 8.500-მა გლეხმა. არსად რაიმე ექსცესი ან რაიმე ძალადობა არ მომხდარა. სამაგიეროდ ჩვენ იმის მოწმე ვიყავით, რომ მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხი ერთსულოვნად გამოვიდა ლოზუნგებით: „მშრომელი ადამიანები მთავრობაში გამცემლებს არ დაინდობენ!", „არ დავუშვათ მთავრობაში რეაქციონერი მინისტრების დაბრუნება!". დემონსტრაციები მშვიდად მიმდინარეობდა. მშრომელებს შეგნებული ჰქონდათ თავიანთი ძალა. ეს ძალა დაგროვდა კლადნოს ქვანახშირის შახტებში, შკოდას ქარხნების საამხმელო ღუმელებთან, უპიცისა და ლიპეცის საფეიქრო ფაბრიკების დაზგებთან.

ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიწვევით სრულიად სლავთა კომიტეტის მესამე პლენუმის მონაწილეებმა მოიარეს ჩეხოსლოვაკია, სადაც ხვდებოდნენ მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, მოსწავლეებს. ეს შეხვედრები სლავ ხალხთა მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა.

ყველგან ვხედავდით მასების უმაგალითო აღფრთოვანებას, განსაკუთრებით დიდ პოლიტიკურ აქტივობას, რამაც თვალნათლივ დაგვარწმუნა, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხმა ჩამოიშორა უცხოეთის კაპიტალის ბინძური დაქირავებული აგენტები — ყველა ისინი, ვინც აბრკოლებდა დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას და აფერხებდა ქვეყნის აღდგენას. ჩეხოსლოვაკიის ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით განაგრძობს თავისი ორწლიანი გეგმის შესრულებას. ჩეხოსლოვაკიის საწარმოთა უმრავლესობა ამჟამად გადაჭარბებით ასრულებს თავის საწარმოო პროგრამებს.

ა. მ. გორკის დაბადების 80 წლისთავისათვის

ა. მ. გორკის ნაწარმოებნი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ ჩვენს ქვეყანაში.

განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა მისი წიგნები საბჭოთა ხელისუფლების დროს. 1888-დან 1917 წლამდე მ. გორკის ნაწარმოებნი რუსეთში გამოცემული იყო 8 ენაზე ერთ მილიონ ცალზე მეტი საერთო ტირაჟით. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 30 წლის განმავლობაში გორკის წიგნები, საკავშირო წიგნის პალატის ცნობებით, 66 ენაზე გამოვიდა, მათმა საერთო ტირაჟმა 44.860 ათას ცალს მიაღწია. რომანი „დედა" 110-ჯერ გამოიცა რუსულ ენაზე, იგი 5-ჯერ გამოიცა უკრაინულ და ბელორუსულ ენებზე, 4-ჯერ — უზბეკურზე, ორჯერ დაიბეჭდა ლატვიურსა და სხვა ენებზე. 85-ჯერ გამოიცა მოთხრობა „ბავშვობა", რომელიც 28 ენაზე გამოვიდა, 65-ჯერ — „ჩემი უნივერსიტეტები", რომელიც 25 ენაზე დაიბეჭდა და სხვა. (საკდესი).

სოციალისტური შრომის გმირები

ვ. ნ. კუპრეიშვილი
ცხაკაიას 1-ლი მტს-ის დირექტორი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში 320,62 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 42 ცენტნერი ხორბლის მიღებისათვის.

ვ. ქ. კაკავა
გალის რაიონის სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 74,50 ცენტნერი ხიმინდის მიღებისათვის.

ვ. ტ. ზარქუა
გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 99,16 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.

ვ. ქ. უუფუნია
ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 85,04 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.

კვარტალური გეგმის შესრულება

სტალინის სახელობის შახტის პირველი უბანი

ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის პირველი უბანი, რომელსაც ამხ. შ. შოთაძე ხელმძღვანელობს, დღითიდღე ადიდებს ქვანახშირის ამოღებას. 4 მარტს უბნის მეშახტეებმა შეასრულეს პირველი კვარტალის გეგმა და მას შემდეგ მეორე კვარტალის ანგარიშში იღებენ ქვანახშირს. ამ უბნის ვ. აბაშიძის ცვლას 13 მარტისათვის კვარტალური გეგმის გადამეტებით ამოღებული ჰქონდა 11.700 ტონა ქვანახშირი. ახალგაზრდა მნგრეველმა ა. ყიფშიძემ 12 მარტამდე ხუთი თვის ნორმა შეასრულა. ორმაგად ასრულებენ დღიურ ნორმებს სტახანოველი მეშახტეები დ. სუქნიძე, ს. სოფრომაძე, ტ. გაბრიაძე და სხვები.

უბნის მეშახტეები იბრძვიან წლიური გეგმის 10 თვეში განაღდებისათვის.

პარტიული ცხოვრება

ყოველდღიურად ვიზრუნოთ კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის

თვითეული კომუნისტი ვალდებულია „დაუღალავად მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად"—საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების ეს მოთხოვნა დაივიწყა კიროვის სახელობის ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის მრავალმა კომუნისტმა. მათ ამ უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად შეასუსტეს თავის თავზე მუშაობა.

ფაბრიკის მთავარ ინჟინერს შ. გოგიბერიძეს, თავისი განცხადებით, დამთავრებული აქვს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის „მოკლე კურსის" შესწავლა და ამჟამად იმეორებს მას. გასაუბრებით დადასტურდა, რომ არათუ მთლიანად „მოკლე კურსში", არამედ პირველ ხუთ თავშიც კი, რაც თავისივე განმარტებით უკვე გაიმეორა, შ. გოგიბერიძე სუსტად ერკვევა. მან ისიც არ იცის, თუ როდის დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი, არ „ახსოვს" აგრეთვე რუსეთში ბატონყმობის გაუქმების თარიღი. ელემენტარული საკითხების უცოდინარობა გამოამჟღავნა აგრეთვე საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე...

...

...რიცხვო ჟურნალში შეტანილი 23 კომუნისტიდან უმრავლესობა არადამაკმაყოფილებლად მეცადინეობს. პარტიული ორგანიზაცია მხოლოდ საკითხების განხილვით კმაყოფილდება და ნაკლებად არის დაინტერესებული მიღებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებით. მაგალითად, 1947 წლის 8 დეკემბერს პარტბიურომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მუ-...

...მრავალ სხვას) არ უნახავთ წულუკიძის სახლ-მუზეუმი, რომელიც იმავე ქუჩაზე, ფაბრიკიდან ნახევარი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს.

სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაციამ გადაჭრით უნდა გააძლიეროს მუშაობა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად

კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის ნაკლებად ზრუნავს სტალინირის რაიონის სოფელ...

...

...სი ცოდნა ფერმაში".

ცხადია, რა ღირებულება ექნება ასეთ დადგენილებას.

ქურთისა და კეხვის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს ნაკლებ დახმარებას უწევს საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომი.

ვ. გელაშვილი

„კომუნისტის" კორესპონდენტი

გადაჭრით გავაუმჯობესოთ სოფლისა და ქალაქის მომხმარებელთა კოოპერაციული მომსახურება

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ყრილობაზე

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მეთერთმეტე ყრილობამ, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა, კოოპერაციის მუშაკებს ახალი სამოქმედო პროგრამა დაუსახა. ყრილობაზე გამოირკვა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის მრავალი...

...სასოფლო დუქანში იმის გამო, რომ სათანადო ჭურჭელი არა აქვთ, ეს მაშინ, როცა ძნელი არ არის სანავთე კასრის შეძენა ან მარილის შესანახი ყუთის გაკეთება. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები არ სწავლობენ ადგილობრივ მოთხოვნილებას სოფ-...

...მილიონ მანეთს გადააჭარბა. გაფლანგვას, კოოპერაციული ქონების განიავებას ადგილი არ ექნებოდა, ჯეროვან დონეზე რომ იდგეს ანგარიშგება, საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა, რომ მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ სავაჭრო კადრების შერჩევის დროს.

...

დავეუფლოთ პოლიტიკური ხელმძღვანელობის ოსტატობას

პარტიული ორგანიზაციებისა და მთელი ჩვენი პარტიის ცხოვრებაში დიდი მოვლენაა ამჟამად მრავალ ადგილას მიმდინარე რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები. ეს კონფერენციები პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობის, ჩვენი ქვეყნის ომისშემდგომი განვითარების ახალი გიგანტური ამოცა-...

...სებში. ბოლშევიკები პოლიტიკასა და მეურნეობას ერთმანეთს როდი აცილებენ. ჩვენ, ბოლშევიკებს, რომლებიც სიამაყით ვკისრულობთ პასუხისმგებლობას მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ბედისათვის, ჩვენს პარტიას, დიდი სოციალისტური სახელმწიფოს მმართველ პარტიას, როდი სჩვევია უარი სთქვას დიდ და...

...პარტიული ხელმძღვანელი, რომელიც მიმდინარე წვრილმან საქმეებში ეფლობა და იმეორებს სამეურნეო მუშაკთა მუშაობას, აუცილებლად მიდის ფუნქციების არასწორ აღრევამდე, წარმოშობს უპასუხისმგებლობას სამეურნეო-ტექნიკურ კადრებში. როცა პარტორგანიზაცია სცვლის სამეურნეო ორგანოებს, ცალმხრივად არის გატაცებული სამეურნეო მუშაკებისადმი წვრილმანი მეურვეობით, იგი ჰკარგავს მათი გაკრიტიკების უნარს, საკუთარ თავს უსპობს ნამდვილი პოლიტიკური კონტროლის ფუნქციებს, მხედველო-...

...

...ოსტატობას, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის შეხამების ოსტატობას. ამაში ახალი წარმატებების, ახალი გამარჯვებების საწინდარი, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ უნდა მოიპოვოს და მოიპოვებს კიდეცაც სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

„პრავდის" 18/III მოწინავე.

საბჭოთა მშენებლობა

საქალაქო საბჭოს პირველი ნაბიჯები

დუშეთი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომლის კომუნალურ მეურნეობას და კეთილმოწყობას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა ჯეროვანი ყურადღება. უკანასკნელ წლებში ქალაქმა სახე იცვალა. აშენდა პედსასწავლებლის, საშუალო სკოლის, საბავშვო ბაღის, რაიკოოპკავშირის და სხვა შენობები; მოეწყო ელსადგური, რადიოკვანძი, კულტურის სახლი, კინოთეატრი; ამასთან მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა. დიდი სამამულო ომის წლებში, ბუნებრივია, რომ ქალაქის კეთილმოწყობა შეფერხდა.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში მშრომელებმა ბევრი საგულისხმო წინადადება წამოაყენეს, რომლებიც მიმართულია ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ.

ახლად არჩეულმა საქალაქო საბჭომ (თავმჯდომარე ალ. დიდებაშვილი) ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამომრჩეველთა განაწესის პრაქტიკულად განხორციელებას. შედარებით მოკლე ხანში დაიდგა ელსადგურის ახალი მოწყობილობა, რომელიც ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას და ქალაქის მოსახლეობას ელექტროენერგიით მთლიანად უზრუნველჰყოფს. მიმდინარეობს და მალე დამთავრდება აბანოს კაპიტალური რემონტი, რაზეც 177.000 მანეთი დაიხარჯება. ქალაქის ბაღს ახალ, ლითონის მოაჯირს ავლებენ. მოაჯირისა და ბაღის გამწვანებაზე 583.000 მანეთია გათვალისწინებული. მთავრდება კულტურის სახლის კაპიტალური რემონტი. ამ საქმეზე 10.000 მანეთი დაიხარჯა. მალე დაიწყება ორი ცენტრალური ქუჩის მოასფალტება. მიმდინარეობს სტადიონისა და სპორტული დარბაზის კეთილმოწყობა.

პარტიისა და მთავრობის 1947 წლის 14 დეკემბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ ქალაქში ხუთი ახალი, კეთილმოწყობილი სავაჭრო ფარდული და მაღაზია გაიხსნა. შენდება ახალი ფურნე.

ამრიგად, მშრომელთა მთელი რიგი წინადადებანი უკვე მიმდინარე წელს იქნება განხორციელებული.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, საქალაქო საბჭოს ჯერ კიდევ გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებანი.

დუშეთში სანიტარულ წესებს არ იცავენ. ნაგვის გასაზიდი ტრანსპორტის უხეირო მუშაობის გამო ადგილი აქვს ნაგვის დაგროვებას ეზოებსა და ქუჩებში. საკმარისი რაოდენობით არ არის სანაგვე ყუთები, ნაგავი იყრება ხევებში და ბაღებში და არა საამისოდ გამოყოფილ ადგილზე.

უნდა აღინიშნოს, რომ წყალსადენი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. მოუვლელია წყლის შემკრები აუზები, სათავეში გამოყოფილი არ არის სანიტარული დაცვის ზონები.

საქალაქო საბჭოს შეეძლო ამ ნაკლოვანებათა ადვილად გამოსწორება, კეთილმოწყობისა და სანიტარული პირობების დაცვის საქმეში თვითეულ დეპუტატს, ამომრჩეველთა აქტივს და მშრომელთა ინიციატივას რომ იყენებდეს. სამწუხაროდ, საბჭოს გარშემო ჯერ კიდევ არ არის შემოკრებილი აქტივი და მუდმივ კომისიებსაც დღემდე მუშაობა არ დაუწყიათ.

დუშეთის საქალაქო საბჭოს ღირსების საქმეა აქტივზე დაყრდნობით, მშრომელთა ინიციატივისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენებით ბოლომდე იბრძოლოს ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისა და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ა. თომაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ახალი მშენებლობანი სოფელ ზემო ხვედურეთში

ლამაზდება და უფრო კეთილმოწყობილი ხდება სოფელი ზემო ხვედურეთი (ქარელის რაიონი). კოლმეურნეთა შეძლებულობის დონე ამაღლდა. ამ საფუძველზე ზემოხვედურეთელმა კოლმეურნე გლეხებმა უკანასკნელ წლებში ძველი ქოხმახების ადგილზე ახალი, ქართული სტილის ლამაზი სახლები დაიდგეს. სოფლის გამშვენიერებასაც ჯეროვანი ყურადღება ექცევა.

სკოლის ახალი შენობა, კოლმეურნეობის გამგეობის, საწყობების შენობები და ახლად გამოყვანილი წყაროები ამშვენებენ ამ სოფლის უბნებს.

ახლახან დამთავრდა მდინარე ძამაზე ელსადგურის მშენებლობა. ილიჩის ნათურებმა გაანათეს სოფელ ქარელის, ქვემო ხვედურეთის, ლეთეთის და სხვა სოფლების კოლმეურნეთა სახლები. სასოფლო საბჭოს დეპუტატთა ინიციატივით მიღებულია გადაწყვეტილება სოფელ ზემო ხვედურეთში ელექტროსინათლის გაყვანის შესახებ. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით ზემოხვედურეთელ კოლმეურნეთა ეს სანუკვარი ოცნებაც მოკლე ხანში ასრულდება.

გ. ჯაბიაშვილი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„საფოსტო განყოფილებამ მუშაობა უნდა გააუმჯობესოს“

„კომუნისტის“ მიმდინარე წლის 20 იანვრის ნომერში ამ სათაურით მოთავსებული იყო მამხილებელი კორესპონდენცია, სადაც აღნიშნული იყო კავშირგაბმულობის წალკის რაიკანტორის ცუდი მუშაობა, ტელეფონის აპარატების უმოქმედობა, ადრესატებისათვის ჟურნალ-გაზეთებისა და კორესპონდენციების ჩაუბარებლობა და სხვა.

საკითხი განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) წალკის რაიკომის ბიურომ. როგორც რაიკომის მდივანი ამხ. ხარისჩარიშვილი გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. კავშირგაბმულობის რაიკანტორის უფროსი ამხ. გურგენოვი უმოქმედობისათვის მოხსნილია თანამდებობიდან. ფოსტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის დასახულია პრაქტიკული ღონისძიებანი.

რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების წინადადებათა შეგროვების ორთვიური

სამი წინადადება შრომის გამარჯვების საკითხებზე

15 მარტიდან თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე და ტრანსპორტის საწარმოებში დაიწყო რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების ახალ წინადადებათა შეგროვების ორთვიური. ორთვიურის დაწყებას მომზადებული შეხვდნენ თბილისის მთელ რიგ ლითონდამმუშავებელ საწარმოებში, სადაც წინასწარ გამოჰყვეს კომისიები, გამოიმუშავეს თემატიკა, შეისწავლეს წარმოების ის საკითხები, რომლებიც საჭიროებენ რაციონალიზატორულ გაუმჯობესებას.

თბილისის სპილენძსაგლინავი ქარხნის რაციონალიზატორმა ხარატმა შ. რუხაძემ შეიტანა წინადადება ნაგლინის შიდასაქარხნო გადაზიდვის მექანიზაციის განსახორციელებლად. წინადადების შინაარსი ასეთია: დღემდე ნაგლინს ტვირთავენ ვაგონეტებში და შემდეგ ამ ვაგონეტებს ხელით მიაგორებენ საამქროდან საწყობამდე. შ. რუხაძის წინადადებით საამქროდან საწყობამდე გაბმული იქნება უწყვეტი მოძრავი ბაგირი, რომელიც ელექტრომოტორით იმუშავებს და რგოლისებრი წესით მოიყვანს მოძრაობაში ვაგონეტებს (საამქროდან წაიღებს სავსე ვაგონეტებს, დააბრუნებს ცარიელს). ეს წინადადება უკვე მიღებულია და დაიწყო მისი განხორციელება.

მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადებანი შემოიტანა აგრეთვე ნორმალარმა ა. კარპუხოვმა სპილენძის გლინვის ტექნოლოგიური პროცესის გასამარტივებლად, რაც დიდად აამაღლებს მგლინავთა შრომის ნაყოფიერებას. ასევე მნიშვნელოვანია მჭედელ ვ. ცატუროვის რაციონალიზატორული წინადადება.

ი. ზამბახიძე

ორ დღეში 15 წინადადება

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ორთვიურის დაწყების პირველ ორ დღეში — 15 და 16 მარტს შემოტანილ იქნა 15 ახალი რაციონალიზატორული წინადადება. მათი განხილვა უკვე დაწყებულია. შემოტანილ წინადადებათა შორის ყურადღებას იპყრობს სამჭედლო საამქროს უფროსის ინჟინერ ვ. კაპატაძის წინადადება, რომელიც საქსოვი მანქანის ერთ-ერთი პასუხსაგები დეტალის ტექნოლოგიას შეეხება.

საქსოვი მანქანის ეს დეტალი ორი ნაწილისაგან შესდგება. დღემდე ორივე ამ ნაწილის ჩამოსხმას და გამოჭედვას ერთდროულად ახდენდნენ. ეს დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ამავე დროს დამუშავებისათვის დიდ დროს მოითხოვს. ახალი წინადადების მიხედვით დეტალის ორივე ნაწილი უნდა ჩამოისხას და გამოიჭედოს ცალცალკე, შემდეგ კი მოხდეს მათი შედუღება. ამ ღონისძიების განხორციელებით დეტალის დამუშავებაზე გასაწევი შრომა შეიძლება შემცირდეს სამჯერ, ხოლო დეტალის გამოშვებას ნაცვლად 2 საათისა დასჭირდება ნახევარი საათი.

საყურადღებო წინადადებები შემოიტანეს ამწყობი საამქროს ოსტატმა გ. გასიშვილმა, გ. გურეშიძემ, გ. კანტერმა, გ. შარაბიანმა და სხვებმა.

ქარხნის მოწინავე სპეციალისტებმა ინჟინრებმა პ. გიორგაძემ, მ. კუბლაშვილმა და ა. კრაინსკიმ შეფობა იკისრეს იმ რაციონალიზატორ მუშებზე, რომელთაც თვითონ არ შეუძლიათ ნახაზების გაკეთება და ახალ ნოვატორულ წინადადებათა ტექნიკურად გაფორმება.

ე. თოთაშვილი

საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე

თებერვლის შუა რიცხვებიდან ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლებმა თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს მუშაობა. ამის შედეგად თებერვლის გეგმა 104 პროცენტით შესრულდა. საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებია მოპოვებული მარტის პირველ ნახევარში. ამ წარმატების მოპოვებას დიდად შეუწყო ხელი უბნებს შორის გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

პირველი უბნის კოლექტივმა ამ დღეებში წარმატებით დაიწყო სამჭედლო საამქროს მშენებლობა. უკვე შესრულებულია 500 კუბმეტრი მიწის სამუშაო. ამოღებულია შენობის საფუძვლის 30 ქვაბული და მიმდინარეობს მათში რკინა-ბეტონის ჩაწყობა.

უბნის მშენებლები ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობენ გამაერთიანებელსაჩამომსხმელო კორპუსის მშენებლობაზე, რომელიც ქარხნის ყველაზე დიდი სამსხმელო საწარმოა.

კიდევ უფრო თვალსაჩინო მიღწევები აქვს მესამე უბნის კოლექტივს, რომელიც ფარცხანაყანევის წყალსადენის მშენებლობაზე მუშაობს. აქ სამასზე მეტი პროცენტით შეასრულეს გასული თვის გეგმა. წყალსადენის მშენებლები მიმდინარე წლის დავალებებსაც წარმატებით ასრულებენ.

ამჟამად უბნის კოლექტივი ენერგიულად მუშაობს წყალსაქაჩი სადგურის დროულად აგებისათვის. მარტის პირველ ნახევარში შესრულებულია 1.000-მდე კუბმეტრი მიწის სამუშაო.

საგრძნობლად გაძლიერდა საბინაო მშენებლობაც. მარტო მესამე უბნის კოლექტივმა ამ მოკლე ხანში მეავტომობილეებს გადასცა ერთი რვაბინიანი, ორი ფინური და ერთი კოტეჯის ტიპის სახლი. უბნის კოლექტივმა იკისრა 25 მარტისათვის დამატებით მოუმზადოს ქარხანას თითო რვაბინიანი და ფინური სახლი.

ავტომშენებლებმა უფრო უნდა გააძლიერონ მუშაობა იანვარში ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და პირველი კვარტალის გეგმის შესრულებისათვის.

გერმანიის მეორე სახალხო კონგრესის წინ

ბერლინი, 15 მარტი. (ტასსი). 17 მარტს ბერლინში იხსნება მეორე სახალხო კონგრესი გერმანიის ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის. როგორც პირველ კონგრესზე, ისე მომავალ კონგრესზეც წარმოდგენილი იქნება ყველა ძირითადი პარტია და მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაცია. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, მუშები, გლეხები, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები, მოსამსახურეები, ე. ი. გერმანელი ხალხის ყველა ფენის წარმომადგენლები. სახალხო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სახელზე ყოველდღე მოდის დიდძალი მისასალმებელი წერილები და დეპეშები. მაგალითად, საბჭოთა საოკუპაციო ზონის გლეხთა ურთიერთდახმარების გაერთიანებული კომიტეტების ცენტრალურმა გამგეობამ გამოგზავნა დეპეშა, რომლითაც 500 ათასი გლეხის სახელით მიესალმება სახალხო კონგრესს და სახალხო საბჭოს შექმნას. „სახალხო საბჭოს შექმნა, — ნათქვამია დეპეშაში, — გერმანელ გლეხებს მიაჩნიათ გერმანიის მშრომელთა პასუხად ფრანკფურტის მოსაქმეთა უპასუხისმგებლო მოქმედებაზე. გერმანელი გლეხები მეორე სახალხო კონგრესისაგან მოითხოვენ გამონახოს გზები და საშუალებანი, რათა წინაღუდგეს გერმანიის საბოლოო დაყოფას“.

გერმანიის სახალხო კონგრესის მოძრაობა ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის თანაგრძნობის გამოხმაურებას პოულობს აგრეთვე გერმანიის ფარგლებს გარეთ. სახალხო კონგრესის [illegible] „[illegible]“ აქვეყნებს ინგლისიდან და [illegible] მეორე სახალხო კონგრესისათვის გამოგზავნილ მისასალმებელ დეპეშებს. ინგლისის თემთა პალატის წევრი ჯონ პლეტს მილსი სულით და გულით მიესალმება კონგრესის დელეგატებს და სწერს: „დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ქვეყნის დემოკრატიული ძალების ერთიანობის ბაზაზე შექმნილი ერთიანობა გერმანიისა მეტად დიდმნიშვნელოვანია ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად. მწუხარებით მოვისმინე, რომ ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის თქვენი მოძრაობა მრავალ დაბრკოლებას აწყდება, მაგრამ მით უფრო დიდი კმაყოფილებით შევიტყე, რომ, მიუხედავად ყოველი სიძნელისა, თქვენი მოძრაობა ძლიერდება“.

ბირმინჰამის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი როი პასკალი შემდეგ დეპეშას გზავნის: „დღეს ცხადი გახდა, რომ საჭიროა გამოსწორდეს წარსულის შეცდომები და აშენდეს მშრომელი პროგრესული ხალხის ერთიანობა, მიღწეულ იქნას ახალი თავისუფლება, რომელიც გადაჰყრით აღმოფხვრის რეაქციის ნაშთებს. თქვენი კონგრესი ამ ახალი ერთიანობის იმედს სახავს და გისურვებთ სწრაფ და სრულ წარმატებას გერმანიის მშვიდობიანი ახუვევების ინტერესებისათვის. გამოვთქვამ მწუხარებას, რომ გერმანიის დასავლეთ ზონებში აკრძალულია გერმანიის სახალხო კონგრესის საქმიანობა“.

კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ—გერმანიის ერთიანობისათვის

გაიხსნა გერმანიის მეორე სახალხო კონგრესი

ბერლინი, 17 მარტი. (ტასსი). დღეს, 1848 წლის რევოლუციის ასი წლისთავის დღეს, ბერლინში მუშაობა დაიწყო გერმანიის მეორე სახალხო კონგრესმა გერმანიის ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის. გერმანიის დედაქალაქში ჩამოვიდა გერმანიის ყველა კუთხიდან ორი ათასი სახალხო დელეგატი.

სახალხო კონგრესის ორი ათასი დელეგატიდან 550 დელეგატი ჩამოვიდა გერმანიის დასავლეთი ზონებიდან. ბრიტანეთის, ამერიკისა და საფრანგეთის ხელისუფლებმა მათ უარი უთხრეს ბერლინში გამგზავრების ნებართვაზე.

გერმანიის მეორე სახალხო კონგრესი გახსნა ოტო ნუშკემ (ქრისტიან-დემოკრატთა კავშირი). მოკლე შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ ხუთი სახელმწიფოს დასავლეთის სამხედრო პაქტი ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით მოწოდებულია საბოლოოდ გასთიშოს ევროპა, ამ გათიშვის ხაზი გერმანიაზე გადის, ჰყოფს მას ნაწილებად, ამასთან დასავლეთი ნაწილი უნდა გადაიქცეს დასავლეთის სამხედრო და პოლიტიკური ბლოკის დანამატად.

„გერმანელ ხალხს,—განაცხადა შემდეგ ნუშკემ,—არ ჰკითხეს, სურს თუ არა მას გაჰყიდოს გერმანული თვითგამორკვევის უფლება დოლარის სესხის ოსპის შეჭამანდზე. გერმანიის სახალხო კონგრესი, როგორც მთელი გერმანელი ხალხის ერთიანი წარმომადგენელი, მთელი მსოფლიოს წინაშე კატეგორიულ პროტესტს აცხადებს გერმანიის გათიშვის წინააღმდეგ. გერმანელმა პარტიულმა პოლიტიკოსებმა დასავლეთ ზონებში ვერ მიაღწიეს ერთიანობას, მაგრამ გერმანელი ხალხი ერთიანია. იგი მოითხოვს უფლება მიეცეს გამოსთქვას თავისი ნება გერმანიის ერთიანობის შესახებ პლებისციტის ფორმით“.

მეორე სახალხო კონგრესის მუშაობის სახელმძღვანელოდ დელეგატებმა ერთსულოვნად აირჩიეს პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ: ვილჰელმ პიკი (გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია), ვილჰელმ კულცი (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია), ოტო ნუშკე (ქრისტიან-დემოკრატთა კავშირი), ჰანს ენდრეცკი (თავისუფალ გერმანულ პროფკავშირთა გაერთიანება), პროფესორი ჰესტერმანი (მიუნსტერი), ოტო კერტინგი (გლეხთა ურთიერთდახმარების კომიტეტების გაერთიანება) და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და დემოკრატიული ორგანიზაციების სხვა წარმომადგენლები.

შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის 1848 წლის მარტის რევოლუციის გაკვეთილებისა და ეროვნული ერთიანობისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლის შესახებ ეძლევა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეს ოტო გროტევოლს. ტრიბუნაზე გროტევოლის გამოჩენას კონგრესის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ მოხსენებები გააკეთეს გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვილჰელმ კულცმა და ქრისტიან-დემოკრატთა კავშირის გამოჩენილმა მოღვაწემ პროფესორმა ერიხ ფაშერმა. მოხსენებების შემდეგ დაიწყო სახალხო კონგრესის დელეგატების გამოსვლა.

უნგრეთის პარლამენტის თავმჯდომარემ იმრე ნაღმა დარბაზობა გამართა

ბუდაპეშტი, 16 მარტი. (ტასსი). გუშინ საღამოს უნგრეთის პარლამენტის თავმჯდომარემ იმრე ნაღმა დიდი დარბაზობა გამართა უნგრეთის 1848 წლის რევოლუციის 100 წლისთავის აღსანიშნავად.

დარბაზობას ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

დამსწრეთა შორის იყვნენ: რესპუბლიკის პრეზიდენტი ზოლტან ტილდი, პრემიერ-მინისტრი ლაიოშ დინიეში, მისი მოადგილეები მატიას რაკოში და არპად საკაშიჩი, მთავრობის წევრები, პარტიებისა და პროფკავშირების ლიდერები, უნგრეთის საზოგადოებრივი, კულტურული და მეცნიერული ცხოვრების თვალსაჩინო მოღვაწეები.

დარბაზობას დაესწრნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის მარშალ კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით და სხვა ქვეყნების მთავრობათა დელეგაციები, სსრ კავშირის მისიის ხელმძღვანელი შემადგენლობა დესპან ამხ. პუშკინის მეთაურობით, ბუდაპეშტში აკრედიტებული ყველა უცხოეთის მისიის მეთაურები და თანამშრომლები.

დარბაზობის დამსწრეთა შორის იყვნენ აგრეთვე გამოჩენილი მეცნიერები, ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, მუშები და გლეხები, რომლებიც წარჩინებული შრომისათვის გუშინ კოშუტის პრემიით დააჯილდოვეს.

ლეო. ქიაჩელი

ჯოჯოს მამა*

თითქმის უხმო გასრიალებით ჩაიარა მანქანამ. ძლივს მოვასწარი თვალების შევლება. მაინც დავინახე: ავტომობილის ვიწრო სარკმელიდან ორი მგზავრის გაკვირვებული თვალები შემოგვცქეროდნენ მე და ჩემს ცხენს.

რაკი ჩაიარა მანქანამ, ხელი შევუშვი ნესტოებზე ჯონდოს.

— მიშვარა რომ არ გამიზრდიხარ, ეს რატომ მოგივიდა მეთქი, — ვუსაყვედურე. კისერზე მკლავი გადავხვიე, მოვეფერე დასაწყნარებლად. მაგრამ იგი ისევ ფეთქავდა, ისევ ცახცახებდა და მანქანისაკენ ცეცხლის მფრქვეველი თვალებით იცქირებოდა, თითქოს ემუქრებოდა, როგორ გაბედე და გამასწარიო.

— დაწყნარდი, გეყოფა. მეორედ ასეთი სამარცხვინო საქმე არ მოგივიდეს მეთქი, ვეუბნებოდი. — ძლივს მოვიყვანე გონზე.

გაიარა მცირე მანძილი თუ არა, მანქანა დადგა.

დადგომის უმალვე მანქანიდან ორი კაცი ჩამოხტა, — ერთი მარცხნიდან, მეორე მარჯვნიდან. ჩამოხტნენ თუ არა, ჩემსკენ წამოვიდნენ.

როგორც კი შევავლე თვალი უცნობთ, მაშინვე გავიფიქრე:

— უბრალო კაცებს არ გვანან მეთქი. წინ დაუდექი ჯონდოს. შესახვედრად მოვემზადე.

ერთს სამხედრო ფორმის წინაფრიანი ქუდი ეხურა, მუქნაცრისფერი. ვაჟკაცურ სახეს ოდნავ ჭაღარაგარეული ულვაშები და შავი სქელი წარბები უმშვენებდნენ. ტანს ნაცრისფერივე ჟუბა ემოსა, ამავე ფერის ღილებზე შეკრული, გულის ჯიბეებიანი. ფეხებზე მაღალყელიანი ჩექმები ეცვა. სიარულზე ეტყობოდა, რომ ჩქარობდა, მაგრამ დინჯი სიჩანდა მაინც მისი მოძრაობა.

მეორე უწვერულვაშო იყო და სათვალებიანი. მრგვალი დაბალი შავი ქუდი ეხურა, წინაფრით შუბლზე ჩამოფხატული.

ჯერ ერთად მხარდამხარ მოდიოდნენ. მერე სათვალებიანმა გაუსწრო პირველს, მოახლოვებისთანავე სწრაფად ქუდი მოიხადა და ერთხანს თავს ზემოდ ამართული დაიჭირა. მივხვდი, რომ მომესალმა. ისე მომელანდა, თითქოს მეცნაურა. სადღაც მინახავს მეთქი, გამიელვა თავში. მაგრამ დაფიქრების დრო არ მქონდა.

მათრახიანი მარჯვენა ხელი გულზე მივიდევი და ჩვენებური, მოკრძალებული სალამი მივეცი უსიტყვოდ. ხმის ამოღება პირველმა ვერ გავბედე. მისგან ველოდი, როგორც ჩვენი ზრდილობის წესი მოითხოვს.

— ბოდიშის მოსახდელად მოვდივართ თქვენთან: ჩვენი მიზეზით ცხენმა კინაღამ დაგამარცხათ... ძალიან ფიცხი ყოფილა! — სთქვა და მთელი თავისი მოძრავი სახით გამიღიმა. მერე დაუფარავი ალტაცებით შემოგვაცქერდა მე და ჯონდოს. ერთხელ რომ მე შემხედავდა, მეორედ ჯონდოს და თვალებს არ გვაშორებდა.

— რა ვქნა, თითქოს სადღაც მინახავს ეს კაცი მეთქი, მეორედ გამიელვა თავში.

— თქვენ რატომ შეუწუხდით? — მივუგე, — მოვრიგდით უკვე მე და ჩემი ურჩი ცხენი! ველურია, მთიდან იშვიათად ჩამოდის. ბარში მოარულ მანქანებს ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია.

სიტყვა არ მქონდა დასრულებული, რომ მეორე მგზავრიც მოგვიახლოვდა. მაშინვე დაბლად მივესალმე. ის ცოტა მოშორებით დადგა. სათვალებიანი სწრაფად მივიდა მასთან და გაესაუბრა. იმანაც ელვასავით მალი, შავი თვალები მომაპყრო. მარჯვენა ხელი ამართა, თითებით შეეხო ქუდის წინაფრას და თავის დაქნევით სალამი მომცა. მის სახეზე მშვიდმა, მოალერსე ღიმილმა გაიკრთომარა.

და უცებ თითქოს მოულოდნელი სხივი მომჩვენებოდეს, გონება შემერყა.

ერთიც და მეორეც ვიცანი უეცრად. ისე წარმოვიდგინე, ვითომ ჩემი ჯოტოს ოთახის დამამშვენებელ სურათებს სული ჩაედგათ და ცოცხლები თვალწინ დამიდგნენ.

რა უნდა მექნა? დავიბენი ამ ხნის კაცი. აღარ ვიცოდი, რაკი ვიცანი, ახლა როგორ მოვქცეულიყავი, თავი როგორ დამეჭირა მათ წინაშე?

ბედზე, ლაკადური გლეხური გულუბრყვილო ეშმაკობა მომეშველა, წინასწარ მოუაზრებლად, რა თქმა უნდა, ისე თავისთავად. მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ თავი ისე დავიჭირე, თითქოს არც კი მეცნოს, თითქოს ეჭვიც კი არ დამბადებოდეს იმისა, თუ ვინ ბრძანდებოდნენ.

ხმა ჩავიკმინდე კი. ქვეშქვეშ ფრთხილად და ცერად დავუწყე მზერა.

სათვალებიანი ისევ მომიახლოვდა.

— სადაური ხართ? — მკითხა და ფართო შუბლზე ნაოჭები შეიკრა, დიდრონი მრგვალი თვალები ოდნავ მოხუჭა.

— სოუს მცხოვრები გახლავართ! — მოვახსენე.

— სოუს? — წამით დაფიქრდა, — ბზიფის ხეობიდან, არა?

— დიახ!

ისევ გამიღიმა, ისევ დამაკვირდა.

— გვარი?

— ქარდუა გახლავართ, ბატონო.

ალბათ, პირველად გაიგონა ეს სახელი და გვარი. თითქოს გახსენებას სცდილობსო, სახე მოკუმა.

როგორ გაახსენდებოდა? ალბათ, არც კი გაეგონა.

მივეშველე: მთის კაცს მეძახიან მეთქი, ვუთხარი.

ამის გაგონებაზე უცებ გამოიცვალა. სახე ისევ გაეშალა.

— ჰა, მაშ, თქვენ ხართ მთის კაცი? მთის კაცს ამ მხარეში ხომ ყველგან იცნობენ! — ერთი ნაბიჯით კიდევ დამიახლოვდა. თავით ფეხებამდე თვალები შემავლო. — მეც გამიგონიხართ! სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა... მონადირე ხართ?

— დიახ!

ამ კითხვა-პასუხში რომ ვიყავით, ის ჩვენი დიდი კაცი ჯონდოსთან ახლოს მისულიყო. მალე გაისმა მისი ხმაც:

— ერთი შეხედე, რა შესანიშნავია ეს ცხენი! — უხმო ამხანაგს. — რაღაც უნდა ღირს! — ამბობდა ის.

ცხადი იყო, რომ ჩემი ცხენი მოეწონა. მაგრამ მე რა მეთქმოდა?

მესმოდა, თუ რა დაწვრილებით აუწერდა ამხანაგს ჯონდოს აღნაგობის თავისებურებას. გაკვირვებული ვიყავი, ჩვენებური მთის ცხენის ამბავიც როგორ სცოდნია მეთქი. თავი მომწონდა თავადაც და ჯონდოს მაგიერადაც. თუმცა ცხენს თავი ჩემზე უფრო ამაყად ეჭირა. თითქოს გრძნობდა ის შეჩვენებული, თუ ვისი ყურადღება დაიმსახურა. თავს მორიდებულად აკატურებდა, წინა ტორებით ფრთხილად სჩხვერავდა მიწას.

სტუმრებმა მერე ყურადღება არჩვისა და შურთხებზე გადაიტანეს.

— ნუკრია, ეტყობა. პირველად რომ თვალი მოვკარი ცოცხალი მეგონა, ისე ხტუნავდა ავარდნილი ცხენის ზურგზე. მაგრამ ასეღაც რა მშვენიერია! — თეთრ პოჩზე ხელი მოჰკიდა ფრთხილად. მერე დოყებიც გაუსინჯა. ყურით თავი აუწია. შეხედა.

სათვალებიანს კიდევ შურთხები მოსწონებოდა.

— საკვირველია, რომ ბუნებას ფერი არ გამოელევა! — ამბობდა იგი.

— ფერები კიდევ არაფერი, — ჩამოართვა სიტყვა პირველმა, — მათ შეხამებას დააკვირდი... რა ზომიერება, რა გემოვნება, რა სიზუსტე. მართლა საკვირველია! — ახლა შურთხისკენ მიიქცა. ფრთა აუწია ერთს, ბუმბულზე თითი გაათამაშა.

— საკვირველი ხალხია ეს მონადირეები! — ამბობდა სათვალებიანი. — ასეთ უწყინარ ცხოველებს მოსაკლავად როგორ იმეტებენ!

მეუხერხულა რატომღაც, რომ ამდენხანს ვსდუმდი. გავბედე და სიჩუმე დავარღვიე, მით უმეტეს, რომ სიტყვა მონადირეზე ჩამოაგდეს.

— ჰე, რას გაუგებ მონადირეს მეთქი, ვსთქვი. რაც კარგია და ძოსწონს, სწორედ იმას ჰკლავს.

შემომხედა. ჩემსკენ გადმოდგა ნაბიჯი. ვერ მივხვდი, მოეწონა თუ არა ჩემი სიტყვა. მერე მკითხა:

— ერთი მითხარით, კოლმეურნეობას თუ ჰყავს ასეთი ცხენები?

უცებ ენა დამება. ცნობილია, რომ სოუ განთქმულია კარგი ცხენებით, მაგრამ ჯონდოსთანა რომ ვერ არიან ესეც ყველამ იცის. ტყუილს ვერ ვიტყოდი, მართალის თქმა გამიჭირდა.

— ეს ხომ თქვენია? — მიმითითა ჯონდოზე.

— ჩემი გახლავთ.

— მერე კოლმეურნეობას ასეთები ან ამაზე უკეთესები რატომ არ ჰყავს? — მიმიხვდა, ალბათ, რაც დავუფარე, რაკი ასეთი კითხვა დამიყენა.

— ჩვენი სოფელი და მისი კოლმეურნეობა განთქმულია, ცხენებით... — დავძარი ენა, მაგრამ სიტყვა შემაწყვეტინა.

— აი, რა გითხრა: კოლმეურნეობას ყველაფერი უკეთესი უნდა ჰქონდეს. მას მეტი მოეთხოვება. — მერე უცებ ხმა გამოიცვალა და განაგრძო: — მაშ, კოლმეურნეობა გქონიათ! რას აკეთებთ ამ მთაში?

— მეფუტკრეობას, მეცხოველეობას და ნადირობას ვეწევით, როგორც მთას შეეფერება.

— გასაგებია... რამდენი სკა გეყოლებათ?

— წელს ორ ათასს გადააჭარბა. ბუნება ხელს გვიწყობს...

— ერთად გყავთ? — გაუკვირდა.

— ორასს ზევით კოლმეურნეობის წევრებს შორის არის განაწილებული.

— ფუტკარი როგორია?

ამაზე ვერ ვუპასუხე. თვითონ განაგრძო:

— ტანი პატარა, ხორთუმი კი გრძელი... შორს ფრინავს. — სთქვა და სალოკი თითი ისე გაათამაშა, თითქოს ფუტკრის ხორთუმის მოძრაობა გამოსახაო.

— ქართული ჯიშია ასეთი. — დასძინა. — ნაქებია.

— ჩვენი ფუტკარიც ასეთია. მართლა, ძალიან შორს დაფრინავენ დალოცვილები. ჩვენ ვართ ოღონდ ჩაკეტილები.

— როგორ თუ ჩაკეტილები?

— მთაა. გზა არ გვაქვს, იმიტომ მოგახსენებთ. ცხენიც კი ვერ გაივლის ჩვენს ბილიკებზე.

— გზა არ გაკეთდება?

— ძნელია.

— რა ვუყოთ მერე, რომ ძნელია. საქმე ის არის, რომ სიძნელე უნდა გადაილახოს.

— რაკი ის მფრინავი მანქანები გაჩნდნენ, სოფლელებს ვითომ იმის იმედი გვაქვს, რომ ჰაერით მაინც გზა გაგვეხსნება... ფოსტა მაინც გვექნება დროზე.

უცებ დაფიქრდა. ერთხელ კიდევ დამაკვირდა მცდელი თვალებით.

— კარგი აზრი მოგსვლიათ! — სთქვა მერე მკვირცხლად და ცალი ულვაშის ქვეშიდან ღიმილის შუქი შემომაფრქვია. მითხრა: — ალბათ, თქვენმა ფუტკრებმა თუ ჩაგაგონათ ფრენის აზრი... გინდათ იმათ წაბაძოთ? კარგი საქმეა! ბარაქალა თქვენს კოლმეურნეობას, მთის კაცო!

გამაოცა, რომ მთის კაცი მიწოდა. მერე გამახსენდა, რომ ამას წინად მქონდა ნათქვამი, მთის კაცს მეძახიან მეთქი.

მოვიდა. ხელი გამომიწოდა. ჩამომართვა. გამომეშვიდობა.

მეორემ კი ხელის ჩამორთმევა არ მაკმარა. ქუდიც კი მომიხადა პატივისცემით.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 14, № 17, № 20, № 22, № 25, № 30, № 32, № 37, № 47, № 50, № 52, № 55.

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი ავსტრიის საკითხზე

ლონდონი, 16 მარტი. (საკდესი). დღეს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები ავსტრიის საკითხზე განაგრძობდნენ საბჭოთა წინადადების განხილვას ავსტრიაში გერმანიის ყოფილი აქტივების შესახებ.

თავმჯდომარემ საბჭოთა წარმომადგენელმა კოკტომოვმა შეაჯამა იმ თანხის საკითხის წინასწარი განხილვის შედეგები, რომელიც ავსტრიამ საბჭოთა კავშირს უნდა გადაუხადოს გერმანიის ყოფილი აქტივებისათვის, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ არცერთ სხვა დელეგაციას, რომლებმაც განაცხადეს, საბჭოთა წინადადებას არ ვეთანხმებითო, არც კი ჩამოუყალიბებია თავისი წინადადებანი. პირიქით, ინგლისის წარმომადგენელმა მარჩბენქსმა განაცხადა, რომ საფრანგეთის წინადადებაც კი, რომელიც მხოლოდ ასი მილიონი დოლარის გადახდას ითვალისწინებს ინგლისის დელეგაციისათვის მისაღები არ არის. ამგვარი პოზიცია მიმართულია ისეთი პირობების შექმნისაკენ, რომლებიც ხელს კი არ უწყობენ მოლაპარაკების წარმატებას, არამედ ართულებენ მას და აბრკოლებენ შეთანხმების მიღწევას. საბჭოთა წარმომადგენელმა კვლავ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირმა თავისი წინადადებით უკვე ბევრი რამ დასთმო, რასაც ყველა დელეგაცია აღიარებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ნაბიჯი გამოხატავს საბჭოთა კავშირის მისწრაფებას—გამოინახოს სამართლიანი ბაზა შეთანხმების მისაღწევად. თუ სხვა დელეგაციები ასეთსავე გზას დაადგებიან და ცხადჰყოფენ ნამდვილ მისწრაფებას სამართლიან საფუძველზე შეთანხმების მიღწევისადმი, საბჭოთა დელეგაცია დაჟინებით აღარ მოითხოვს, რომ მისი წინადადება სიტყვაშეუცვლელად მიიღონ.

შემდეგ თათბირი შეუდგა საბჭოთა წინადადების მე-7 პუნქტის განხილვას, რომელიც ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირისათვის გადასაცემი საწარმოები იმოქმედებენ ავსტრიის კანონმდებლობის შესაბამისად, იმ პირობით, რომ ავსტრიამ არ დააბრკოლოს მოგების ან სხვა შემოსავლის პროდუქციის ანდა თავისუფალ საკონვერსიო ვალუტის სახით გამოტანა და რომ ამ საწარმოთა გასხვისება შეიძლება მხოლოდ სსრ კავშირის თანხმობით მოხდეს.

საბჭოთა წარმომადგენელმა უარჰყო, როგორც უსაფუძვლო, ზოგიერთი დელეგაციის მტკიცება, რომ საბჭოთა წინადადების ეს პუნქტი თითქოს ავსტრიაში საბჭოთა საწარმოებისათვის ექსტერიტორიული უფლების მინიჭებას ითვალისწინებდეს. მოგების გატანის უფლება და გარანტია, რომ საბჭოთა კავშირის ხელში გადასული საწარმოები გასხვისებული არ იქნება საბჭოთა კავშირის თანხმობის მიუღებლად, იმის ნორმალური აუცილებელი პირობებია, რომ საბჭოთა კავშირმა გამოიყენოს გერმანიისაგან რეპარაციების სახით მიღებული ქონება. კოკტომოვმა კვლავ მოაგონა სხდომას, რომ გადასაცემი საწარმოები იმოქმედებენ ავსტრიის კანონმდებლობის საფუძველზე.

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა შემდეგი სხდომა ავსტრიის საკითხზე დანიშნულია 18 მარტისათვის.

ლონდონი, 16 მარტი. (საკდესი). გუშინ შესდგა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა მორიგი სხდომა ავსტრიის საკითხის გამო; სხდომაზე განხილულ იქნა საბჭოთა წინადადების მე-5 და მე-6 პუნქტები, რომლებიც შეეხება დუნაის სანაოსნო ყოფილ გერმანულ ქონებას და საბჭოთა კავშირისათვის 200 მილიონი დოლარის გადახდას იმ ყოფილი გერმანული აქტივების საფასურად, რასაც საბჭოთა კავშირი ავსტრიას უთმობს.

თავმჯდომარე ინგლისის წარმომადგენელი მარჩბენქსი ცდილობდა აეცდინა თათბირი საკითხის არსებითად განხილვისაგან და შეეცადა დუნაის სანაოსნო აქტივთა შესახებ საბჭოთა წინადადების განხილვა კერძო საკითხებთან დაეკავშირებინა. მაგალითად, იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ წინასწარ განეხილათ დუნაის სანაოსნო ქონების სიები და განესაზღვრათ თარიღი, რომლისთვისაც ფიქსირებულ უნდა იქნას ამ ქონების ადგილსამყოფელი. ამავე პოზიციას შეუერთდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის დელეგაციები.

საბჭოთა წარმომადგენელმა კოკტომოვმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესი არ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც ამ ეტაპზე თათბირის წინაშე დგას. ცალკეული დელეგაციები, სთქვა კოკტომოვმა, ცდილობენ პრინციპული საკითხები შესცვალონ კერძო და ისეთი საკითხებით, რომლებსაც დამოკიდებულება არა აქვთ თათბირის ამოცანებთან. ეს იმას მოწმობს, რომ ამ დელეგაციებს სურთ თავი აარიდონ საკითხის არსებითად განხილვას და შეთანხმების მიღწევას.

მარჩბენქსი შეეხო ავსტრიის მიერ საბჭოთა კავშირისათვის განსაზღვრული საერთო თანხის გადახდას იმ გერმანული აქტივების საფასურად, რომლებიც ავსტრიას ეთმობა, და განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადება ინგლისის დელეგაციისათვის მიუღებელია.

მიუხედავად საბჭოთა წარმომადგენლის არაერთი თხოვნისა, მარჩბენქსმა უარი სთქვა წარმოედგინა ინგლისის დელეგაციის რაიმე კონკრეტული წინადადებანი ამ საკითხზე და სხვათა შორის განაცხადა, რომ ეს თანხა სადღაც „ნულსა და 199 მილიონ დოლარს შორის" უნდა იყოსო. მან არაორაზროვნად აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისათვის ასანაზღაურებელი თანხის განსაზღვრის ერთადერთი კრიტერიუმი ის უნდა იყოს, მოეპოვება თუ არა დოლარები ავსტრიასო. ამერიკელი დელეგატი შეუერთდა ინგლისის თვალსაზრისს.

საბჭოთა წარმომადგენელმა კოკტომოვმა აღნიშნა, რომ ინგლისისა და ამერიკის დელეგაციები უარს ამბობენ საბჭოთა წინადადების მიღებაზე, მათ არამცდაარამც არ სურთ ჩამოაყალიბონ თავიანთი პოზიციები ამ საკითხზე და იმაზეც კი ამბობენ უარს, რომ თავიანთი ციფრები დაასახელონ. ამასთან ისინი სრულიად უგულებელჰყოფენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ სსრ კავშირისათვის გაცილებით ნაკლები თანხის გადახდას, ვიდრე ფაქტიურად ღირს ავსტრიის განკარგულებაში დასატოვებელი ყოფილი გერმანული აქტივები, რომლებიც სსრ კავშირის საკუთრება გახდა, როგორც პოტსდამის გადაწყვეტილების საფუძველზე გერმანიისაგან კუთვნილი რეპარაციები.

საფრანგეთში პროტესტს აცხადებენ საბერძნეთში გამეფებული ტერორის წინააღმდეგ

პარიზი, 16 მარტი. (საკდესი). პარიზს ჩამოვიდა ცალდარისი, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს 16 ქვეყნის კონფერენციაში. ამასთან დაკავშირებით დემოკრატიული საბერძნეთისადმი დახმარების ეროვნული კომიტეტის პარიზის სექციამ პროტესტი განაცხადა „საბერძნეთში გამეფებული სისხლისღვრისა და მონარქისტ-ფაშისტთა ტერორის წინააღმდეგ". პროტესტში აღნიშნულია, რომ წინააღმდეგობის 850 გმირს, რომელთაც 3 წლის წინათ სიკვდილი მიუსაჯეს იმისათვის, რომ ისინი მოლალატეებს სჯიდნენ და გერმანელ ოკუპანტებს ებრძოდნენ, ამჟამად განაჩენის შესრულების საფრთხე მოელის.

ასე მონურად სრულდება საბერძნეთისადმი „დახმარების" ამერიკული კომისიის ბრძანებები.

კომიტეტი, ნათქვამია პროტესტში, სამარცხვინოდ სთვლის და ჰგმობს საფრანგეთის მთავრობის მონურ პოზიციას: მთავრობა არ დაეჯერდა იმას, რომ დამალა საფრანგეთში საბერძნეთის დემოკრატიული კავშირი, რომელიც წინააღმდეგობის დროს წარმოიშვა, და ახლა აპირებს ჩვენი ტერიტორიიდან გააძევოს ბერძენი პატრიოტები, რომლებმაც ჩვენში თავშესაფარი ჰპოვეს.

კომიტეტი მოუწოდებს პარიზელებს, ქალებსა და კაცებს, 25 მარტს 18 საათზე საბერძნეთის ეროვნული დღესასწაულის გამო მოვიდნენ მუტუალიტეს სასახლეში, „რათა დაადასტურონ თავიანთი სოლიდარობა ბერძენ ხალხთან, რომელიც იბრძვის მშვიდობის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის".

ჯოტოს მამა

ამის შემდეგ მანქანისკენ სწრაფი ნაბიჯით წავიდნენ.

მარტო დარჩენილი დიდხანს ჯუმხერდი მიმავალთ. მენანებოდა მათთან გაყრა.

მერე უცებ ისეთი აზრი დამებადა თავში, რომ ჩემს ადგილზე ვერ დავდექი. ჯონდოს წინა ტახტაზე გადვუსადავე. არჩვი და შურთხები მოვხსენი. იღლიაში ამოვიდევი და მანქანისკენ გავექანე.

ის-იყო, ავტომობილის კარი უნდა დახურულიყო, რომ გადავეღობე.

— აპატიეთ მთის კაცს სითამამე! — მივმართე მანქანაში მსხდომთ, — მიიღეთ მისგან ეს მცირე ძღვენი.

სანამ ისინი, ჩემი მოულოდნელი გამოჩენით გაკვირვებულები, სიტყვას დასძრავდნენ, ფეხებქვეშ დადებულ ჯეჯიმზე ჩემი საჩუქარი დავალაგე და კარს უმალვე მოვცილდი. ძლივს მოვასწარი სიჩქარისაგან ერთხელ კიდევ დაბლად თავი დამეკრა.

მანქანის საფეხურზე სათვალეებიანი გადმოდგა.

— არავითარ შემთხვევაში არ იქნება, მთის კაცო! რატომ დაგებადათ ეს აზრი? — მომაძახა ხმამაღლა, თითქოს გამიწყრაო.

— ნუ ინებებთ უარის თქმას! ეს იქნებოდა ჩემი შეურაცხყოფა, ამ ხნის კაცს ნუ მაკადრებთ ამას.

და თავი არ ამიღია, ზურგი არ შემიქცევია ისე უკან ხევით გავეცალე, ვითომ არც კი გამიგონია წყრომა და ძახილი, მანქანიდან რომ მესმოდა! მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ გავიარათე და, ჩემი ჯონდოსკენ პირმიბრუნებული, სირბილით ავუვე კუშველე: მართლა არ მიბრძანონ ძღვენის უკან წაღება მეთქი.

ცოტა ხანი და მანქანაც თავის გზას გაუდგა. ღია სარკმლიდან გადმოკიდებული შავი ქუდის ფრიალი იმის ნიშანს მაძლევდა, რომ მგზავრები მადლობას მიხდიდნენ ჩემი მცირე საჩუქრისათვის.

— ესეც ჩვენი ახალი მოყვრები, ჩემო ჯონდო! კარგ ფეხზე ავმდგარვართ ამ დილით! — მივმართე ჩემს ცხენს, როცა მანქანა მიიმალა. — ჩემი რა მოგახსენო, მეგობარო, მაგრამ შენ კი შესანიშნავად გეჭირა თავი. მასახელე.

სადავე ხელში ავიღე. აბჯანდში ფეხი შევსდგი.

...აქ სიტყვა შესწყვიტა მთის კაცმა და ამოისუნთქა, თითქოს შეისვენაო.

ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

მაინც სახის შეუცვლელად, ტანის შეუმძრევლად შესცქეროდნენ მას მსმენელები, თითქოს დუმილში ამბის გაგრძელებას ისმენენო.

მაგრამ ის მცირე ხანიც კი, რომელიც მთის კაცს ამოსასუნთქავად და აზრის მოსაკრებად დასჭირდა, აუტანელად გრძელი ეჩვენათ ახალგაზრდებს.

მოთმინების ძაფი პირველს ბატას გაუწყდა.

— ჩვენ ისე გაგვიგონია, ჯოტოს მამავ, რომ ამბავი ამით არ გათავებულა... ბოლოც უნდა გვიამბო!

აქ საერთო მოუთმენლობამაც უცებ აიწყვიტა: ქრიალი ატყდა ოთახში.

მიხვდა მთის კაცი რასაც იგი მოასწავებდა. გაეცინა.

— მაპატიეთ... ალბათ დიდი დრო თუ მოუნდა მოხუცი კაცის ამოსუნთქვას! იგი ბოლოს მოსათხრობად დამჭირდა... კი არ დამვიწყებია! — სთქვა და ამბავი ისევ განაგრძო.

(გაგრძელება იქნება)

16 ქვეყნის კონფერენციაზე

პარიზი, 16 მარტი. (საკდესი). დღეს შესდგა „მარშალის გეგმის" მონაწილე 16 ქვეყნის კონფერენციის მეორე და უკანასკნელი პლენარული სხდომა. სხდომაზე გამოვიდნენ ირლანდიის, პორტუგალიის, შვეციის, შვეიცარიისა და ავსტრიის წარმომადგენლები.

პორტუგალიის წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა „შესაფერ მომენტში" განხილულ იქნას საკითხი „ევროპის რეკონსტრუქციის საქმეში" ესპანეთის დაშვების შესახებ, ე. ი. „მარშალის გეგმაში" ფრანკისტული ესპანეთის შეყვანის შესახებ.

ეგრეთ წოდებული „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის კომიტეტის" მოხსენების დამტკიცების შემდეგ კონფერენციამ მიიღო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია დასავლეთ გერმანიის შესახებ. რეზოლუციის თანახმად, გერმანიის ოკუპაციის გაერთიანებული ინგლის-ამერიკისა და საფრანგეთის ზონები განიხილება როგორც კონფერენციაში მონაწილე ორი სრულუფლებიანი წევრი. ორივე ზონა, — ნათქვამია რეზოლუციაში, — „ყოველმხრივ მონაწილეობას მიიღებს მუდმივი ორგანიზაციის მუშაობაში, მათ შორის კომიტეტებისა და სხვა ორგანოების მუშაობაში", „ხელს მოაწერს მრავალმხრივ შეთანხმებებს, რომლებიც მზადდება" და „სამთავრობათაშორისო შეთანხმებებს, რომლებიც შეეხებიან ევროპის აღდგენის პროგრამას. ორივე ზონა წარმოდგენილ იქნება სახელმწიფოთაშორისო ორგანოებში და კონფერენციის მიერ შექმნილ სამუშაო კომიტეტში.

„ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის კომიტეტის" მომხსენებელმა აცნობა სხდომას, რომ კომიტეტმა შეიმუშავა ინსტრუქცია კონფერენციის სამუშაო კომიტეტისათვის, რომელსაც დაევალება შეადგინოს მუდმივი „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის ცენტრალური ორგანოს" წესდება და იმ მრავალმხრივი შეთანხმების პროექტი, რომელსაც კონფერენციის მონაწილენი ხელს მოაწერენ.

დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა ბევინმა.

ნიუ-იორკი, 17 მარტი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გრიგი პარიზიდან იუწყება, რომ, დიპლომატიური წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები პარიზის კონფერენციის მთელ რიგ დახურულ თათბირებზე ცდილობდნენ დაერწმუნებინათ სკანდინავიის ქვეყნები—შეერთებოდნენ სამხედრო კავშირს „კომუნიზმის" წინააღმდეგ. როგორც იუწყებიან, ბევინი 15 მარტს მთელი დღის განმავლობაში ესაუბრებოდა შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრ უნდენს და დანიის საგარეო საქმეთა მინისტრ რასმუსენს, ამასთან ცდილობდა მიეღწია იმისათვის, რომ სკანდინავიის ქვეყნები „დასავლეთის ბლოკს" შეერთებოდნენ.

ბრიუსელის სამხედრო პაქტის ხელმოწერა

პარიზი, 17 მარტი. (საკდესი). დღეს ბრიუსელში დასავლეთ ევროპის ხუთი ქვეყნის—ბელგიის, საფრანგეთის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიისა და ინგლისის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ეკონომიური თანამშრომლობისა და სამხედრო დახმარების ხელშეკრულებას 50 წლის ვადით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ცნობა

ნიუ-იორკი, 17 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გამოაცხადა, რომ გენერალურმა მდივანმა ტრიუგვე ლიმ მიიღო ცნობა ალბანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კაპასაგან. ცნობა დათარიღებულია 13 მარტით. კაპას მოჰყავს ალბანეთის წინააღმდეგ ბერძენი მონარქისტ-ფაშისტების პროვოკაციის 17 ახალი შემთხვევა 5-დან 11 მარტამდე, მათ შორის საბერძნეთის თვითმფრინავების, გემებისა და ჯარის ალბანეთის ტერიტორიაზე და ალბანეთის ტერიტორიულ წყლებში შეჭრის, აგრეთვე არტილერიის დაშენის შემთხვევები.

სახალხო განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა სიპინგაი დაიკავეს

ჩრდილოეთი შენსი, 16 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინციების სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა 13 მარტს მანჯურიაში დაიკავეს რკინიგზის მნიშვნელოვანი კვანძი სიპინგაი. სიპინგაისათვის ბრძოლაში მთლად მოსპობილია 71-ე კორპუსის 88-ე გომინდანური დივიზია, საკავალერიო პოლკი და „დამშვიდების" სამი პოლკი, აგრეთვე განადგურებულია 87-ე და 91-ე გომინდანური დივიზიები. გომინდანის ჯარებმა 16 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს.

ჩრდილოეთი შენსი, 17 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ხენან-შენსი-ხუბეის საომარი მოქმედების ფრონტიდან იუწყება, რომ ოთხი დღის ბრძოლის შემდეგ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა 13 მარტს საღამოს ხელთ იგდეს ჩინეთის ძველი დედაქალაქი ლოიანი (ხენანის პროვინცია). ქალაქისათვის წარმოებული ბრძოლების დროს თითქმის სავსებით მოსპობილ იქნა გომინდანელთა გარნიზონი 10 ათასი კაცის რაოდენობით, აგრეთვე განადგურებულ იქნა გომინდანელთა არმიის 206-ე დივიზია.

კორეელი ხალხი განიხილავს სასესიათაშორისო კომიტეტის გადაწყვეტილებას კორეის გაყოფის შესახებ

ჩრდილოეთ კორეის ერთიანი დემოკრატიული ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ფხენიანი, 14 მარტი. (საკდესი). 9 მარტს აქ შესდგა ჩრდილოეთ კორეის ერთიანი დემოკრატიული ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც მოწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ეგრეთწოდებული სასესიათაშორისო კომიტეტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სამხრეთ კორეაში არჩევნების ჩატარებისა და სეპარატული მთავრობის შექმნის შესახებ.

ვრცელი მოხსენება, რომელიც ამჟღავნებს კორეაში ამერიკელი იმპერიალისტების გეგმებს, გააკეთა ჩრდილოეთ კორეის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა. მან განაცხადა, რომ სასესიათაშორისო კომიტეტის გადაწყვეტილება მიმართულია კორეის ეკონომიური და პოლიტიკური გაყოფის დასამთავრებლად, რაც კორეაში ამერიკის იმპერიალიზმის საერთო პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს. ეს გადაწყვეტილება, — აღნიშნა კიმ ირ სენმა, — უხეშად არღვევს კორეელი ხალხის ელემენტარულ უფლებებს და მას უბედურებისა და გაჭირვების მეტს ვერაფერს მოუტანს. კიმ ირ სენმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აშკარად დაადგნენ ცალმხრივი მოქმედების გზას, რათა სამხრეთ კორეა თავის კოლონიად გადააქციონ, და განაცხადა, რომ კორეის გაყოფის შედეგებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს ეკისრებათ. მან აღნიშნა, რომ სასესიათაშორისო კომიტეტის გადაწყვეტილება, რაც ამერიკელი იმპერიალისტების ნაკარნახევია, ხალხის ყველა ფენის დიდ აღშფოთებას იწვევს როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კორეაში.

კიმ ირ სენი დაწვრილებით შეჩერდა იმაზე, თუ ამერიკის შეერთებული შტატები ორი წლის განმავლობაში როგორ ყოველნაირად უშლიდნენ ხელს საბჭოთა კავშირის მიერ კორეის შესახებ მოსკოვის გადაწყვეტილების შესრულებას, რაზეც მათ ხელი მოაწერეს. ამერიკელებმა, რომლებიც სისტემატურად უშლიდნენ წინააღმდეგობას კორეის დემოკრატიული მთავრობის შესაქმნელად საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ კომისიაში შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა გამომუშავებას, საქმე არსებითად ისე დააყენეს: ან დათანხმდით მთავრობაში რეაქციონერი ამერიკელების დაყენებულ პირთა ბატონობას, ან კორეას სხვა საერთო მთავრობა არ ექნებაო. როცა საბჭოთა კავშირმა წამოაყენა კორეის საკითხის გადაჭრის ყველაზე მარტივი და გონივრული საშუალება — კორეიდან ერთდროულად გაყვანილ იქნან საბჭოთა და ამერიკის ჯარები და კორეელ ხალხს შესაძლებლობა მიეცეს თვითონ გადასჭრას თავისი საქმეები, — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარჰყვეს ეს წინადადება და გენერალურ ასამბლეაში გაიყვანეს თავისი რეზოლუცია, რომელიც სრულიად უგულებელჰყოფდა კორეელი ხალხის აზრს.

ამერიკის შეერთებული შტატების ამ მანევრის აზრი, — განაცხადა კიმ ირ სენმა, — დიდი ხანია გაიგო ჩვენმა ხალხმა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის ნამდვილი დანიშნულება ის არის, რომ შენიღბოს კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიზატორული საქმიანობა. კორეის საშინაო საქმეებში უცხოეთის აშკარა ჩარევის პირობებში არჩევნების ჩატარება მიზნად ისახავს უზრუნველჰყოს მთავრობაში სამხრეთ კორეის თავგამოდებულ რეაქციონერთა არჩევა, რომლებიც თავისი ხალხის ბედისათვის იმდენად როდი ზრუნავენ, რამდენადაც თავისი უცხოელი მფარველების სარგებლობისათვის და თავისი პირადი სარგებლობისათვის. ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის სეულს ჩამოსვლამ კორეელი ხალხის აღშფოთება გამოიწვია როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში. კიმ ირ სენმა მოიყვანა იმის მკაფიო მაგალითები, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის საქმიანობის წინააღმდეგ სამხრეთ კორეის მოსახლეობა გამოსვლებს აწყობს, მიუხედავად ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა მძვინვარე ტერორისა.

ჩვენი ხალხი, — განაცხადა კიმ ირ სენმა, — არასოდეს და არავითარ პირობებში არ დათანხმდება სცნოს ამ კომისიის მფარველობით შექმნილი მახინჯი მარიონეტული მთავრობა. ჩრდილოეთ კორეის ხალხი, რომელმაც საქმით იგემა ნამდვილი დემოკრატიული უფლებანი და თავისუფლებანი, რომელმაც მოიპოვა მიწის რეფორმის, მრეწველობის ნაციონალიზაციის, შრომის, ქალთა თანასწორუფლებიანობისა და სხვა კანონების ნაყოფი, არასოდეს არ დაბრუნდება უკან, რათა იმპერიალისტურ უღელში შეებას. სამხრეთ კორეის მშიერმა, დევნილმა, გაღატაკებულმა ხალხმა უკვე სავსებით იგრძნო ამერიკელ კოლონიზატორთა ფარისევლობა და გამოიცნო კორეაში ამერიკის პოლიტიკის არსი.

შემდეგ კიმ ირ სენმა განაცხადა: ჩვენი მოთხოვნა ისეთივეა, როგორიც წინათ იყო. მთელი ხალხი მოითხოვს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სრულიად კორეის არჩევნების ჩატარებას საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

ამ გზით არჩეულმა ნამდვილმა სახალხო უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ უნდა დაამტკიცოს კონსტიტუცია და ჩამოაყალიბოს ნამდვილად დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ჩვენს ხალხს ეროვნული აყვავებისა და ბედნიერების გზით წაიყვანს. ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, რომ კორეის ტერიტორიიდან ერთდროულად გაყვანილ იქნება უცხოეთის ყველა ჯარი.

დასასრულ კიმ ირ სენმა კორეელ ხალხს მოუწოდა არ დაუშვას იმ ვერაგულ განზრახვათა განხორციელება, რომლებიც მიმართულია კორეის გაყოფისა და ახალი დამონებისაკენ, უარი სთქვას არჩევნების კომედიაში მონაწილეობაზე, რასაც ამერიკელები და მათი ხელშემწყობნი სამხრეთ კორეაშიამზადებენ, იბრძოლოს დემოკრატიული კორეის ერთიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ერთიანი დემოკრატიული ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა კიმ ირ სენის მოხსენება. კამათში გამოსულმა შრომის პარტიის ლიდერმა კიმ დუ ბონმა, ახალგაზრდა მეგობართა პარტიის ლიდერმა კიმ დარ ჰენმა, მწერალმა ლი გი ენმა და სხვებმა დაჰგმეს გენერალური ასამბლეის სასესიათაშორისო კომიტეტის გადაწყვეტილება, როგორც კორეაში ამერიკის ექსპანსიის იარაღი, და მოუწოდებდნენ საყოველთაო სახალხო ბრძოლის გაჩაღებისაკენ უცხოელი იმპერიალისტების ცდების წინააღმდეგ — გაჰყონ კორეა და მას თავს მოახვიონ რეაქციული მთავრობა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადასწყვიტა 14 მარტს ჩრდილოეთ კორეის ყველა დიდ ქალაქში ჩაატაროს მასობრივი მიტინგები სასესიათაშორისო კომიტეტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

სამხრეთ კორეის პარტიების მიმართვა საბჭოთა მთავრობისადმი

ფხენიანი, 15 მარტი. (საკდესი). როგორც აქ გამოირკვა, თებერვლის დამლევს სეულში მიმდინარეობდა სამხრეთ კორეის ცენტრისტული და ზოგიერთი მემარჯვენე პარტიების თათბირი უცხოელთა ჯარების გაყვანისა და კორეის ერთიანი დემოკრატიული დამოუკიდებელი მთავრობის შექმნის დაჩქარების საკითხზე. თათბირში მონაწილეობა მიიღეს მშრომელი ხალხის პარტიამ, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, კორეის დემოკრატიულმა დამოუკიდებელმა პარტიამ, ხალხის მასების კავშირმა, ახალმა პროგრესულმა პარტიამ და სხვა პარტიებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც სამხრეთ კორეის მარიონეტული სეპარატული მთავრობის შექმნის წინააღმდეგი არიან.

თათბირმა საბჭოთა მთავრობას მიმართა მოსალმებელი წერილით, რომლითაც მადლობას უთვლის საბჭოთა ხალხს იაპონიის იმპერიალიზმის უღლისაგან კორეის განთავისუფლებისა და კორეელი ხალხისათვის მისი დამოუკიდებლობის აღდგენაში დახმარების გამო.

„თქვენი ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, — ნათქვამია თათბირის წერილში საბჭოთა მთავრობისადმი, — თქვენ მტკიცე საძირკველი შეუქმენით სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, განახორციელეთ გადამწყვეტი დემოკრატიული რეფორმები და ერთობლივი კომისიის მეშვეობით ყოველი ღონე იხმარეთ დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად.

ხოლო როცა ერთობლივი კომისიის მუშაობის ჩაშლა აშკარა გახდა, თქვენ, კორეის ნამდვილი მდგომარეობის შესაბამისად, წინადადება შემოიტანეთ, რომ ერთსა და იმავე დროს ყოფილიყო გაყვანილი კორეიდან საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ჯარები და თვითონ კორეელ ხალხს მისცემოდა კორეის საკითხის გადაწყვეტის საშუალება".

კორეის პარტიებისა და ორგანიზაციების თათბირი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის ეს წინადადება გამოხატავს მის გულწრფელ პატივისცემას კორეელი ხალხისადმი და კორეის დამოუკიდებლობის უფლების აღიარებას, და წერილში აცხადებს, რომ ჯარების გაყვანის დაყოვნება, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია იწვევს, აბრკოლებს კორეის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, ამასთან დაკავშირებით თათბირი შემდეგი თხოვნით მიმართავს საბჭოთა მთავრობას:

„გთხოვთ განაგრძოთ აქტიური თანამშრომლობა, დაძლიოთ ყოველივე სიძნელე, რათა საბოლოოდ განხორციელდეს ჯარების გაყვანა. თქვენს მეცადინეობას ამ მიმართულებით გადაჭრით დაუჭერს მხარს მთელი კორეელი ხალხი".

მატჩ-ტურნირი მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში

ჰააგა, 16 მარტი. (საკდესი). დღეს ჰააგაში შესდგა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩ-ტურნირის მე-7 ტური, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ ეივე და ბოტვინიკი, სმისლოვი და კერესი. ეივე-ბოტვინიკის პარტიაში გათამაშებულ იქნა ფრანგული დაცვა, რომლის კარგი მცოდნეა ბოტვინიკი. ეივემ ტარაშის ვარიანტი ირჩია. მოწინააღმდეგეებმა მალე დაცვალეს ლაზიერები, ხოლო შემდეგ ორ-ორი მსუბუქი ფიგურა. პარტიამ წყნარი ხასიათი მიიღო. ბოტვინიკი ცენტრში მოხვდა. მაგრამ იგი ძალიან ზუსტად თამაშობდა და პარტია ყაიმით დამთავრდა. სმისლოვ-კერესის პარტიაში გათამაშდა ეგრეთ წოდებული კატალონური დასაწყისი. გაჩაღდა ხანგრძლივი და რთული სამანევრო ბრძოლა. საკმაოა ითქვას, რომ 23 სვლის შემდეგ მოწინააღმდეგეებმა გასცვალეს მხოლოდ თითო ფიგური. 27-ე სვლაზე სმისლოვმა ბაიკი შესწირა და ცდილობდა გარღვევა მოეხდინა ცენტრში. პარტია გადადებულია, კერესს ზედმეტი პაიკი აქვს.

ხვალ გათამაშდება სმისლოვ-კერესის გადადებული პარტია.

ჰააგა, 17 მარტი. (საკდესი). დღეს ჰააგაში მოხდა სმისლოვ-კერესის დაუმთავრებელი პარტიის გათამაშება. 58-ე სვლაზე სმისლოვმა პარტია დასთმო.

ამრიგად შვიდი ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერია საბჭოთა გროსმაისტერი ბოტვინიკი, რომელსაც 4 ქულა აქვს. ხვალ შესდგება მე-8 ტური, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან კერეს-რეშევსკი და ბოტვინიკ-სმისლოვი.

საქართველოს პირველობა ჭადრაკში

16 მარტს შესდგა მეთოთხმეტე ტური. ებრალიძემ მოუგო ვადაჭკორიას, ქარსელაძემ — გიორგაძეს, ლონდაძემ — მორჩილაძეს, სორაკიშმა — ცინცაძეს და ბუსლაევმა — ჯაიკიძეს.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

• • •

17 მარტს შესდგა მეთხუთმეტე ტური. ქარსელაძემ მოუგო ებრალიძეს, ცინცაძემ — გიორგაძეს, ფორცხალავამ — მორჩილაძეს, ბუსლაევმა — ლონდაძეს, შიშოვმა — კორკატაძეს, ბლიოძემ — ვადაჭკორიას.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მე-15 ტურის შემდეგ წინ არიან შიშოვი (12½ და ერთი გადადებული), გერშკოვიჩი (10½ და 2 გადადებული) და ბლიოძე (9½ და 2 გადადებული).

მხატვართა კლუბში

პარასკევს, 19 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს საბჭოთა მხატვრების კლუბში (ფურცელაძის ქ. № 2) საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის ხელოვნებათმცოდნეობისა და კრიტიკის სექციის საჯარო სხდომაზე შესდგება განხილვა ნ. გუდიაშვილის მონოგრაფიისა „იაკობ ნიკოლაძე". მოხსენებას გააკეთებს ამხ. შ. დუდუჩავა. განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ სექციის წევრები და მხატვრები.

დასწრება თავისუფალია.

საღამო-კონცერტი

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფონდის გასაძლიერებლად 20 მარტს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში [illegible]

[illegible]

თეატრები

[illegible]

პასუხისმგებელი რედაქტორი [illegible]

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:
1. ბიოორგანული ქიმიის კათედრის დოცენტი—1.
2. უცხო ენათა კათედრის ინგლისური ენის მასწავლებელი—1.
მსურველებმა სათანადო საბუთები უნდა შემოიტანონ ორი კვირის ვადაში დღიდან გამოცხადებისა. [illegible]
დირექცია

[illegible] «Геологическое строение Аджаро-Триалетской складчатой системы». [illegible]
დირექცია

მშობლები ტასო, ვიქტორ, დები რუსიკო, ვენერა, თამარ ოჯახებით იუწყებიან პატარა შოთა (ლუტუ) ნებიერიძის გარდაცვალებას. ბანაშვილი 19, 20-III, 8 ს. გამოსვენება 21-III, 4 ს. [illegible], 30.

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.86.67 [illegible] სატრანსპორტოსი — 3.80.83 კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, [illegible]

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000